

ამერიკის ბიზნესის აკადემია



საგანმანათლებლო პროგრამების აღწერილობა
(კატალოგი)

„დამტკიცებულია“აკადემიის დირექტორის

ბრძ. N 2/27, 15.05.2013

თბილისი

2013

აკადემიის მისია

აკადემიის მისიაა აღზარდოს ქართული და მსოფლიო კულტურის ღირებულებებისადმი ერთგული, დემოკრატიისა და ჰუმანიზმის იდეალებზე ორიენტირებული, მაღალი მოქალაქეობრივი და ეროვნული თვითშეგნების მქონე კონკურენტუნარიანი სპეციალისტები ბიზნესის ადმინისტრირების მიმართულებით, რომლებიც დასაქმების მხრივ ადეკვატური იქნებიან საქართველოსა და საერთაშორისო ბაზრის მოთხოვნების შესაბამისად.

მისიის განსახორციელებლად აკადემია წლების განმავლობაში ამზადებს მაღალკვალიფიციურ სპეციალისტებს, რაც ხდება მატერიალური და აკადემიური რესურსების ოპტიმალური და მიზანმიმართული გამოყენებით.

I. საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება

მენეჯმენტი

მისანიჭებელი კვალიფიკაცია

ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი მენეჯმენტში

პროგრამის მოცულობა

240 ECTS კრედიტი;

საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი

აკადემიის მისიიდან გამომდინარე საბაკალავრო პროგრამის მიზანია, ქართული და მსოფლიო კულტურის ღირებულებებისადმი ერთგული, დემოკრატიისა და ჰუმანიზმის იდეალებზე ორიენტირებული კონკურენტუნარიანი სპეციალისტების მომზადება ბიზნესის ადმინისტრირების მიმართულებით, მენეჯმენტის სპეციალობით, რომელიც კონკურენტუნარიანი იქნება შიდა ეროვნული და საერთაშორისო დასაქმების ბაზრის მოთხოვნების შესაბამისად და ექნება უმაღლესი განათლების პირველი საფეხურის კვალიფიკაციათა აღმწერის შესაბამისი დარგობრივი და ზოგადი (ტრანსფერული) კომპეტენციები.

საგანმანათლებლო პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტისათვის ეროვნული თვითშეგნების ფორმირებასა და მოქალაქეობრივი ღირებულებების ჩამოყალიბებას. კრეატიული და კრიტიკული აზროვნება უზრუნველყოფს სტუდენტის კონკურენტუნარიანობას შრომის ბაზარზე. ასევე, განაპირობებს სტუდენტის მზაობას სწავლის გასაგრძელებლად შემდგომ საფეხურზე.

საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია კვალიფიკაციათა ჩარჩოს მოთხოვნებით გათვალისწინებული კომპეტენციებით ბიზნესის ადმინისტრირების სპეციალისტის მომზადება ბიზნესის ადმინისტრირების მიმართულებით, მენეჯმენტის სფეროშიმისცეს ბიზნესისა და მენეჯმენტის თეორიებისა და პრინციპების ფართო ცოდნა; ბიზნესისა და მენეჯმენტის კომპლექსური საკითხების თეორიული და პრაქტიკული ასპექტების შერწყმის და ამის საფუძველზე სფეროში მიმდინარე პროცესების გაანალიზების, შეფასების და პრიორიტეტების ადეკვატურად განსაზღვრის, არგუმენტირებული დასკვნის ჩამოყალიბების უნარი; ორგანიზაციის/ფირმის ბიზნეს-საქმიანობის შესწავლის და, ოპტიმიზაციის მიზნით, მენეჯმენტისათვის დამახასიათებელი სტატისტიკური მონაცემების და რაოდენობრივი მაჩვენებლების ანალიზისა და სინთეზის, შედეგების კონკრეტიზებისა და განზოგადების, თავისი კომპეტენციის ფარგლებში სწორი გადაწყვეტილებების მიღებისა და დასაბუთების უნარი. წინასწარ განსაზღვრული მითითებების შესაბამისად პრაქტიკული ხასიათის ბიზნეს-პროექტის განხორციელების, შესასრულებელი სამუშაოსა და დროის რაციონალურად დაგეგმვისა და მართვის უნარი; პროფესიული ვალდებულებების შესრულების და ეთიკური ნორმების დაცვით პრაქტიკული საქმიანობის უნარი.

პროგრამა ორიენტირებულია ადგილობრივი შრომითი ბაზრის მოთხოვნის შესაბამისი ადამიანური რესურსების მომზადებაზე.

სწავლის შედეგები

სწავლის შედეგად ითვლება კომპეტენციების ერთობლიობა, რომლითაც განისაზღვრება, თუ რა უნდა იცოდეს, ესმოდეს, დარის იგაკეთება უნდა შეეძლოს კურსდამთავრებულს ამ ცოდნის გამოყენებით სასწავლო პროცესის, თუ მისი ცალკეული ეტაპის, დასრულების შედეგად.

პროგრამის დასრულების შედეგად სტუდენტს ჩამოუყალიბდება შემდეგი კომპეტენციები:

ცოდნა და გაცნობიერება

აქვს ბიზნესის სფეროს ფართო ცოდნა, რომელიც მოიცავს თეორიებისა და პრინციპების კრიტიკულ გააზრებას. აქვს ბიზნესის სფეროს კომპლექსური საკითხების გაცნობიერების უნარი. კურსდამთავრებული:

- ფლობს ბიზნესისა და მენეჯმენტის საფუძვლებს. გააჩნია ორგანიზაციის, მისი გარემოსა და მათი მართვის თეორიების, კონცეფციებისა და ძირითადი პრინციპების ცოდნა;
- გააჩნია ბიზნესის ფუნქციონალური სფეროების: ზოგადი მენეჯმენტის, პროექტების მართვის, მარკეტინგისა და გაყიდვების, კადრების მართვის, ფინანსებისა და ბუღალტერიის ცოდნა და აცნობიერებს მათ ურთიერთ ზემოქმედებას;
- გააცნობიერონ და ჩაწვდნენ მენეჯმენტის გლობალურ როლს ადამიანების ორგანიზაციაში;

- ფლობს სათანადო ტერმინოლოგიასა და ბიზნესის სფეროში მუშაობის რაოდენობრივ და სტატისტიკურ მეთოდებს;
- გააჩნია ცოდნა ორგანიზაციების ნაციონალური და გლობალური ეკონომიკური გარემოს შესახებ;
- გაცნობიერებული ექნებათ ქვეყანაში მოქმედი ბიზნესის მარეგულირებელი სამართლებრივი ბაზა და ა.შ.

მოდულის „ტურიზმის მენეჯმენტი“ გავლის შემდეგ სტუდენტს ეცოდინება ტურისტული ბიზნესის არსი, მისი მართვის სპეციფიკა, კერძოდ, ტურიზმის მენეჯმენტი, მასპინძლობის მენეჯმენტი, სასტუმროებისა და რესტორნების მენეჯმენტი, ღამისთევის მენეჯმენტი.

მოდულის „განათლების მენეჯმენტი“ გავლის შემდეგ სტუდენტს ეცოდინება საგანმანათლებლო სისტემის სხვადასხვა რგოლები და მათი არსი. საგანმანათლებლო პროგრამის მართვის და მენეჯმენტის პრინციპები, განათლების ეკონომიკის ძირითადი კონცეფციები.

ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი

შეუძლიათ ბიზნესის სფეროსათვის დამახასიათებელი და ასევე ზოგიერთი გამორჩეული მეთოდის გამოყენება პრობლემების გადასაჭრელად, კვლევითი ან პრაქტიკული ხასიათის პროექტის განხორციელება წინასწარ განსაზღვრული მითითებების შესაბამისად. კურსდამთავრებულები შეძლებენ:

- შეისწავლონ ორგანიზაციის ფუნქციები და მასზე მოქმედი ძირითადი კომპონენტების ზეგავლენის ეფექტები და გაიგონ თუ როგორ არის ინიურთიერთდამოკიდებული დაროგორ ზემოქმედებენ ერთმანეთზე;
- აღწერონ ბიზნეს-პროექტის ძირითადი მიმართულებები, თავისებურებები და პერსპექტივები; ურთიერთობა რისკსა და აპოტენციურ მოგებას შორის უცხოურ და ეროვნულ ბაზრებზე შესვლის დროს;
- სტრატეგიულად დასახონ გზები ფირმის მიერ არასასურველი მოვლენების შედეგების განეიტრალებისათვის, კონფლიქტები სადკვეთისათვის; მონაწილეობა მიიღონ ბიზნეს გეგმის ფინანსური ნაწილის შედგენასა და მის რეალიზაციაში.
- გაანალიზონ ბიზნეს ორგანიზაციის საქმიანობა, მოტივირების თეორიები; ფინანსური გეგმები და ა.შ;
- ორგანიზაციაში პროცესების მართვას, პროცესების იდენტიფიცირებას. ეფექტიანობის გაზომვას, ბიზნეს-პროცესის მონაწილეების განსაზღვრას და სხვა;
- ბიზნეს-პროექტების მართვას, მიზნის ფორმულირებას;
- ბიზნეს-გეგმის შედგენას და მოქმედების სამომავლო სტრატეგიის ჩამოყალიბებას;
- რამდენიმე ბიზნეს-გეგმის ვარიანტიდან საუკეთესოს შერჩევას, ოპტიმალური გადაწყვეტილების მიღებას;

მოდულის „ტურიზმის მენეჯმენტი“ გავლის შემდეგ სტუდენტი შესძლებს ტურისტული პროექტების განხორციელებასა და მართვას, კერძოდ, მასპინძლობის მენეჯმენტის, სასტუმროებისა და რესტორნების მენეჯმენტის და ღამისთევის მენეჯმენტის ძირითადი პრინციპების გამოყენებას საქმიანობაში.

მოდულის „განათლების მენეჯმენტი“ გავლის შემდეგ სტუდენტი შესძლებს საგანმანათლებლო სისტემის სხვადასხვა რგოლების მართვას, საგანმანათლებლო პროგრამის მენეჯმენტს მისი ძირითადი პრინციპების დაცვით, წარმატებული ბიზნეს-პროექტების განხორციელებას განათლების სფეროში.

დასკვნისუნარი

შეუძლია ბიზნესის სფეროსათვის დამახასიათებელი მონაცემების შეგროვება და განმარტება, ასევე, განყენებული მონაცემებისა და/ან სიტუაციების ანალიზი სტანდარტული და ზოგიერთი გამორჩეული მეთოდის გამოყენებით დასაბუთებული დასკვნის ჩამოყალიბება; შეუძლია ახალი ინფორმაციის მიღება და გადამუშავება, გააჩნია თვით ანალიზის უნარი. შეუძლია მონაცემების ინტერპრეტაცია, კომპლექსური პრობლემების იდენტიფიცირება და დიაგნოსტიკა და როგორც მენეჯერს, შეუძლია პრობლემის გადაჭრის ალტერნატიული გზების განსაზღვრა, გადაწყვეტილების მიღების პრინციპების დასაბუთება და დაცვა.

კომუნიკაციის უნარი

მშობლიურენაზე

შეუძლია იდეების, არსებული პრობლემებისა და გადაჭრის გზების შესახებ დეტალური წერილობითი ანგარიშის მომზადება ბიზნესის ადმინისტრირებისა და კერძოდ, მენეჯმენტის სფეროში. ინფორმაციის სპეციალისტებისადა არასპეციალისტებისათვის ზეპირად გადაცემა, მენეჯმენტის დარგის სპეციალისტებთან დისკუსიაში მონაწილეობის მიღება, შეუძლია რეფერატული და საბაკალავრო სახის ნაშრომის მომზადება, შეუძლია საქმიანი დოკუმენტის შედგენა ბიზნეს ტერმინოლოგიის გამოყენებით;

უცხოენაზე

შეუძლია ინგლისურ ენაზე კომპლექსური საკითხის/კითხვის ფორმულირება/ჩამოყალიბება, როგორც წერილობით, ასევე ზეპირად წარდგენა/პრეზენტაცია, შეუძლია გაიგოს კონკრეტული და აბსტრაქტული თემების მქონე რთული ტექსტების არსებითი შინაარსი, ესმის თავისი სპეციალობის სფეროდა შეუძლია საქმიანი დისკუსიის წარმართვა; ნორმალური დიალოგის წარმართვა ენის მატარებელთან ორივე მოსაუბრის მხრიდან დიდი

ძალისხმევის გარეშე; შეუძლია დამოუკიდებლად და სწრაფად ინგლისურ ენაზე სხვადასხვა თემებზე დაწერილი ტექსტების კითხვა; ინფორმაციის სხვადასხვა წყაროების გამოყენება; შეუძლია წერილობით ინგლისურ ენაზე მკაფიოდ ჩამოაყალიბოს თავის აზრები და შეხედულებები სხვადასხვა თემებზე; შეუძლია ანგარიშის და თხზულების დაწერა, არგუმენტების მოყვანა სხვადასხვა შეხედულებების საწინააღმდეგოდ ან მხარდასაჭერად.

საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენება.

იცნობს და თავისუფლად იყენებს თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს, შეუძლია ელექტრონულ დოკუმენტებთან, ელექტრონულ ცხრილებთან, მონაცემთა ბაზებთან მუშაობა.

სწავლისუნარი

შეუძლია საკუთარი სწავლის პროცესის თანმიმდევრულად და მრავალმხრივად შეფასება, შემდგომი სწავლის საჭიროებების დადგენა, შეუძლია დამოუკიდებლად, ლიტერატურის გამოყენებით, აიმაღლოს ცოდნა და გაეცნოს უახლეს მიღწევებს ზოგადად ბიზნესის ადმინისტრირებისა და კერძოდ, მენეჯმენტის სფეროში, დამოუკიდებლად მუშაობს დარგობრივ სასწავლო და სამეცნიერო ლიტერატურასთან.

ღირებულებები

მონაწილეობს ბიზნესის სფეროსა და საზოგადოდ ეთიკური ღირებულებების ფორმირების პროცესში და ისწრაფვის მათ დასამკვიდრებლად: პატივსაცემს კოლეგებს, შეუძლია პროფესიულ კონტექსტში მოლაპარაკებაში და კონფლიქტების მოგვარებაში მონაწილეობა, მონაწილეობს ჯგუფური გადაწყვეტილებების შემუშავებაში, ახდენს ენთუზიაზმისა და ინიციატივის დემონსტრირებას, ეფექტურად ურთიერთობს სამუშაო/სასწავლო ჯგუფში, გამომუშავებული აქვს იმ ეთიკური პრობლემების ამოცნობის, გააანალიზების, შესაბამისი გადაწყვეტილებების შერჩევისა და დაცვის უნარი, რომელსაც ადგილი აქვს ზოგადად ბიზნესის სფეროში. აცნობიერებს სამართლებრივ, ეთიკურ და კროსკულტურულ პასუხისმგებლობის როლს ორგანიზაციაში და საზოგადოებაში, გააჩნია პროფესიული პასუხისმგებლობა და აცნობიერებს და იცავს ეთიკის ნორმებს.

II. საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება

ფინანსები

მისანიჭებელი კვალიფიკაცია

ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი ფინანსებში

პროგრამის მოცულობა

240 ECTS კრედიტი;

საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი

აკადემიის მისიიდან გამომდინარე საბაკალავრო პროგრამის მიზანია, ქართული და მსოფლიო კულტურის ღირებულებებისადმი ერთგული, დემოკრატიისა და ჰუმანიზმის იდეალებზე ორიენტირებული კონკურენტუნარიანი სპეციალისტები მომზადება ბიზნესის ადმინისტრირების მიმართულებით, ფინანსების სპეციალობით, რომელიც კონკურენტუნარიანი იქნება შიდა ეროვნული და საერთაშორისო დასაქმების ბაზრის მოთხოვნების შესაბამისად და ექნება უმაღლესი განათლების პირველი საფეხურის კვალიფიკაციათა აღმწერის შესაბამისი დარგობრივი და ზოგადი (ტრანსფერული) კომპეტენციები.

საგანმანათლებლო პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტისათვის ეროვნული თვითშეგნების ფორმირებასა და მოქალაქეობრივი ღირებულებების ჩამოყალიბებას. კრეატიული და კრიტიკული აზროვნება უზრუნველყოფს სტუდენტის კონკურენტუნარიანობას შრომის ბაზარზე. ასევე, განაპირობებს სტუდენტის მზაობას სწავლის გასაგრძელებლად შემდგომ საფეხურზე.

საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია კვალიფიკაციათა ჩარჩოს მოთხოვნებით გათვალისწინებული კომპეტენციებით ბიზნესის ადმინისტრირების სპეციალისტის მომზადება ფინანსების სფეროში. რომელსაც ექნება ბიზნესისა და ფინანსების თეორიებისა და პრინციპების ფართო ცოდნა; ბიზნესის და ფინანსების (მათ შორის საჯარო) სფეროს კომპლექსური საკითხების თეორიული და პრაქტიკული ასპექტების შერწყმის და ამის საფუძველზე სფეროში მიმდინარე პროცესების გაანალიზების, შეფასების და პრიორიტეტების ადეკვატურად განსაზღვრის, არგუმენტირებული დასკვნის ჩამოყალიბება; ორგანიზაციის/ფირმის ბიზნეს-საქმიანობის შესწავლის და ოპტიმიზაციის მიზნით, ფინანსებისა და საბანკო სფეროსთვის დამახასიათებელი სტატისტიკური მონაცემების და რაოდენობრივი მაჩვენებლების ანალიზისა და სინთეზის, შედეგების კონკრეტიზებისა და განზოგადების, თავისი კომპეტენციის ფარგლებში სწორი გადაწყვეტილებების მიღება და დასაბუთება; წინასწარ განსაზღვრული მითითებების შესაბამისად პრაქტიკული ხასიათის

ბიზნეს-პროექტის განხორციელების, შესასრულებელი სამუშაოსა და დროის რაციონალურად დაგეგმვა და მართვა; საჭირო ინფორმაციის მოძიება და ცოდნის განახლება; პროფესიული ვალდებულებების შესრულება და ეთიკური ნორმების დაცვით პრაქტიკული საქმიანობის განხორციელება.

პროგრამა ორიენტირებულია ადგილობრივი შრომითი ბაზრის მოთხოვნის შესაბამისი ადამიანური რესურსების მომზადებაზე.

სწავლის შედეგები

სწავლის შედეგად ითვლება კომპეტენციების ერთობლიობა, რომლითაც განისაზღვრება, თუ რა უნდა იცოდეს, ესმოდეს, დარის იგაკეთება უნდა შეეძლოს სტუდენტს/კურსდამთავრებულს ამ ცოდნის გამოყენებით სასწავლო პროცესის, თუ მისი ცალკეული ეტაპის, დასრულების შედეგად.

პროგრამის დასრულების შედეგად სტუდენტს ჩამოუყალიბდება შემდეგი კომპეტენციები:

ცოდნა და გაცნობიერება

აქვს ბიზნესის სფეროს ფართო ცოდნა, რომელიც მოიცავს თეორიებისა და პრინციპების კრიტიკულ გააზრებას. აქვს ბიზნესის სფეროს კომპლექსური საკითხების გაცნობიერების უნარი. კურსდამთავრებული:

➤ ფლობს ბიზნესის ადამენეჯმენტის საფუძვლებს. გააჩნია ორგანიზაციის, მისი გარემოსა და მათი მართვის თეორიების, კონცეფციებისა და ძირითადი პრინციპების ცოდნა;

➤ გააჩნია ბიზნესის ფუნქციონალური სფეროების: ზოგადი მენეჯმენტის, პროექტების მართვის, მარკეტინგისა და გაყიდვების, კადრების მართვის, ფინანსებისა და ბუღალტერიის ცოდნა და აცნობიერებს მათ ურთიერთზე მოქმედებას;

➤ იცნობს უმნიშვნელოვანეს ფინანსურ, საბანკო-საკრედიტო და სადაზღვევო კატეგორიებს, რითაც შეიქმნის მყარ საფუძველს მომავალი თეორიული ცოდნისა და პროფესიული უნარ-ჩვევების ჩამოყალიბება-განვითარებისათვის;

➤ გააცნობიერონ და აჩვენენ მენეჯმენტის გლობალურ როლს ადამიანებს ორგანიზაციაში;

➤ ფლობს სათანადო ტერმინოლოგიასა და ბიზნესის სფეროში მუშაობის რაოდენობრივ და სტატისტიკურ მეთოდებს;

➤ გააჩნია ცოდნა ორგანიზაციების ნაციონალური და გლობალური ეკონომიკური გარემოს შესახებ

აცნობიერებს საბანკო-საკრედიტო ურთიერთობათა სპეციფიკას, გამოიყენებს შესაბამის ინსტრუმენტებს და ორგანიზაციის სტრუქტურულ მახასიათებლებს. ეცოდინება ინვესტიციურ ურთიერთობათა სპეციფიკა და შესძლებს მათ განსხვავებას სხვა ფინანსური ურთიერთობებისაგან; დაზღვევის და გადაზღვევის ძირითადი პრინციპები; ფინანსური და პასუხისმგებლობის რისკების დაზღვევის საფუძვლები, ფინანსური ფონდების შექმნისა და

გამოყენების ძირითადი პრინციპები სხვადასხვა ბიზნესში, ასევე გაცნობიერებული ექნებათ ქვეყანაში მოქმედი ბიზნესის მარეგულირებელი სამართლებრივი ბაზა და ა.შ.

მოდულის „საბანკო საქმე“ გავლის შემდეგ სტუდენტს ეცოდინება საბანკო ოპერაციები და მისი ტიპები, საბანკო-საფინანსო ტექნოლოგიების სახეები, გააცნობიერებს საბანკო მარკეტინგის და საბანკო მენეჯმენტის ძირითად პრინციპებს.

მოდულის „გადასახადები და დაზღვევა“ გავლის შემდეგ სტუდენტს ეცოდინება გადასახადები და დაზღვევის ძირითადი პრინციპები, საგადასახადო და საბაჟო ტექნოლოგიების სახეები, დაზღვევის სახეები და რისკის შემცირების გზები.

ცოდნისპრაქტიკაშიგამოყენებისუნარი

შეუძლიათ ბიზნესის სფეროსათვის დამახასიათებელი და ასევე ზოგიერთი გამორჩეული მეთოდის გამოყენება პრობლემების გადასაჭრელად, კვლევითი ან პრაქტიკული ხასიათის პროექტის განხორციელება წინასწარ განსაზღვრული მითითებების შესაბამისად. კურსდამთავრებულები შეძლებენ:

- შეისწავლონ ორგანიზაციის ფუნქციები და მასზე მოქმედი ძირითადი კომპონენტების ზეგავლენის ეფექტები და გაიგონ თუ როგორ არიან ისინი ურთიერთდამოკიდებული დარგორ ზემოქმედებენ ერთმანეთზე;
 - გაერკვნენ და მიიღონ უშუალო მონაწილეობა საფინანსო-საბანკო-სადაზღვევო ურთიერთობებში და ა.შ.
 - აღწერონ ბიზნეს საქმიანობის ძირითადი მიმართულებები, თავისებურებები და პერსპექტივები; ურთიერთობა რისკსა და პოტენციურ მოგებას შორის უცხოურ და ადგილობრივ ბაზრებზე შესვლის დროს;
 - დასახონ გზები ფირმის მიერ არასასურველი მოვლენების შედეგების განეიტრალებისათვის, კონფლიქტების აღკვეთისათვის; მონაწილეობა მიიღონ ბიზნეს გეგმის ფინანსური ინაწილის შედგენასა და მის რეალიზაციაში
 - გაანალიზონ ბიზნეს ორგანიზაციის საქმიანობა, მოტივირების თეორიები; ფინანსური გეგმები, ბიუჯეტი, ბუღალტრული ბალანსი, ბანკის ბალანსი და ა.შ;
 - იმსჯელონ ფინანსური ურთიერთობათა განვითარების სპეციფიკის, მათთვის დამახასიათებელი გამოვლენის ფორმების, ძირითადი ტენდენციების და სამომავლო პერსპექტივების შესახებ, ქვეყნის შიგნით და მის ფარგლებს გარეთ;
- კურსდამთავრებული შეძლებს:

- ორგანიზაციაში პროცესების მართვას, პროცესების იდენტიფიცირებას, ეფექტიანობის გაზომვას, ბიზნეს-პროცესის მონაწილეების განსაზღვრას და სხვა;
- ანგარიშების მომზადებას და წარდგენას, ფინანსური დოკუმენტების ინტერპრეტაციას, ფინანსური ინფორმაციის ანალიზს და ანგარიშების მომზადებას, საბუღალტრო აღრიცხვის სისტემების გამოყენებას, ბიუჯეტის მომზადებას და სხვა;
- რამდენიმე ინვესტიციური ვარიანტიდან საუკეთესოს შერჩევას, ოპტიმალური გადაწყვეტილების მიღებას;
- ბიზნეს-გეგმის შედგენას და მოქმედების სამომავლო სტრატეგიის ჩამოყალიბებას;
- შემოსავლების დივერსიფიცირებას და ხარჯების ოპტიმიზებას;
- ინვესტიციების მოცულობის გათვლას და სხვა;

მოდულის „საბანკო საქმე“ გავლის შემდეგ სტუდენტი შესძლებს სხვადასხვა ტიპის საბანკო ოპერაციების შესრულებას, საბანკო-საფინანსო ტექნოლოგიების გამოყენებას, საბანკო მარკეტინგისა და საბანკო მენეჯმენტის ძირითადი ამოცანების განხორციელებას პრაქტიკაში.

მოდულის „გადასახადები და დაზღვევა“ გავლის შემდეგ სტუდენტი შესძლებს გადასახადების გაანგარიშებას და დაბეგვრის ამოცანების შესრულებას, საგადასახადო და საბაჟო ტექნოლოგიების გამოყენებას, რისკების პრევენციასა და დაზღვევას შესაძლებლობების ფარგლებში.

დასკვნისუნარი

შეუძლია ბიზნესის სფეროსათვის დამახასიათებელი მონაცემების შეგროვება და განმარტება, ასევე განყენებული მონაცემებისა და/ან სიტუაციების ანალიზის ტანდარტული დაზოგირითი გამორჩეული მეთოდის გამოყენებით, დასაბუთებული დასკვნის ჩამოყალიბება; შეუძლია ახალი ინფორმაციის მიღება და გამუშავება, გააჩნია თვითანალიზის უნარი. შეუძლია მონაცემების ინტერპრეტაცია, კომპლექსური პრობლემების იდენტიფიცირება და დიაგნოსტიკა, პრობლემის გადაჭრის ალტერნატიული გზების განსაზღვრა, გადაწყვეტილების მიღების პრინციპების დასაბუთება და დაცვა.

მოდულის „საბანკო საქმე“ გავლის შემდეგ სტუდენტი შესძლებს ბანკის ლიკვიდურობისა და კლიენტის გადახდის უნარიანობის შეფასებას, შესაბამისი დასკვნის გაკეთებას საკრედიტო რესურსების მოძრაობის მომგებიანობასთან დაკავშირებით. სხვადასხვა მონაცემების ანალიზზე შესძლებს ჩაატაროს სხვადასხვა ბანკების სტატისტიკურ მონაცემთა ანალიზი და გააკეთოს დასკვნა მათ რეიტინგზე.

მოდულის „გადასახადები და დაზღვევა“ გავლის შემდეგ სხვადასხვა მეთოდების გამოყენებით სტუდენტი შესძლებს შეაფასოს ბიზნესსაქმიანობასთან დაკავშირებული რისკები და გააკეთოს დასკვნა ბიზნესის სავარაუდო შემოსავლებისა და დანახარჯების შესახებ.

კომუნიკაციის უნარი

მშობლიურენაზე

შეუძლია იდეების, არსებული პრობლემებისა და გადაჭრის გზების შესახებ დეტალური წერილობითი ანგარიშის მომზადება ბიზნესის ადმინისტრირებისა და კერძოდ ფინანსების სფეროში. ინფორმაციის სპეციალისტებისა და არასპეციალისტებისათვის ზეპირად გადაცემა, ფინანსების დარგის სპეციალისტებთან დისკუსიაში მონაწილეობის მიღება, შეუძლია რეფერატული და საბაკალავროსახის ნაშრომის მომზადება, შეუძლია საქმიანი დოკუმენტის შედგენა ბიზნეს ტერმინოლოგიის გამოყენებით;

უცხოენაზე

შეუძლია ინგლისურ ენაზე კომპლექსურისაკითხის/კითხვის ფორმულირება/ჩამოყალიბება, როგორც წერილობით, ასევე ზეპირად წარდგენა/პრეზენტაცია, შეუძლია გაიგოს კონკრეტული და აბსტრაქტული თემების მქონე რთული ტექსტების არსებითი შინაარსი, ესმის თავისი სპეციალობის სფეროდა შეუძლია საქმიანი დისკუსიის წარმართვა; ნორმალური დიალოგის წარმართვა ენის მატარებელთან ორივე მოსაუბრის მხრიდან დიდი ძალისხმევით გარეშე; შეუძლია დამოუკიდებლად და სწრაფად ინგლისურ ენაზე სხვადასხვა თემებზე დაწერილი ტექსტების კითხვა; ინფორმაციის სხვადასხვა წყაროების გამოყენება; შეუძლია წერილობითი ინგლისურ ენაზე მკაფიოდ ჩამოაყალიბოს თავისი აზრები და შეხედულებების სხვადასხვა თემებზე; შეუძლია ანგარიშის და თხზულების დაწერა, არგუმენტების მოყვანა სხვადასხვა შეხედულებების საწინააღმდეგოდ ან მხარდასაჭერად.

საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენება.

იცნობს და თავისუფლად იყენებს თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს, შეუძლია ელექტრონულ დოკუმენტებთან, ელექტრონულ ცხრილებთან, მონაცემთა ბაზებთან მუშაობა.

სწავლის უნარი

შეუძლიასაკუთარისწავლისპროცესისთანმიმდევრულადდამრავალმხრივადშეფასება,შემდგომი სწავლისსაჭიროებებისდადგენა,შეუძლიადამოუკიდებლად, ლიტერატურის და სხვა წყაროებისგამოყენებით,აიმაღლოსცოდნა და გაეცნოს უახლეს მიღწევებს ბიზნესის ადმინისტრირებისა და ფინანსების სფეროში, დამოუკიდებლად მუშაობს დარგობრივ სასწავლო და სამეცნიეროლიტერატურასთან.

ღირებულებები

მონაწილეობს ბიზნესის სფეროსადასაზოგადოებრივიღირებულებების ფორმირების პროცესშიდა ისწრაფვისმათდასამკვიდრებლად: პატივსსცემს კოლეგებს,შეუძლია პროფესიულკონტექსტში მოლაპარაკებაში დაკონფლიქტების მოგვარებაში მონაწილეობა, მონაწილეობსჯგუფურიგადაწყვეტილებებისშემუშავებაში,ახდენსენთუზიაზმისა და ინიციატივისდემონსტრირებას,ეფექტურადურთიერთობს სამუშაო/სასწავლოჯგუფში, გამომუშავებულიაქვისმეთიკური პრობლემების ამოცნობის,გაანალიზების, შესაბამისი გადაწყვეტილებების შერჩევისადადაცვის უნარი,რომელსაცადგილიაქვსსაფინანსო ინსტიტუტებში და ზოგადად ბიზნესის სფეროში.აცნობიერებსსამართლებრივ,ეთიკურდაკროსკულტურულ პასუხისმგებლობის როლსორგანიზაციაში დასაზოგადოებაში,გააჩნიაპროფესიულიპასუხისმგებლობა და აცნობიერებს და იცავს ეთიკის ნორმებს.

III. შეფასებისწესი:

სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა

შეფასების კრიტერიუმები :

I. კურსის შუალედური სემესტრული და საბოლოო შეფასების ჯამური ქულა არის 100, რომელიც მოიცავს:

- შუალედური სემესტრული შეფასებას - 60 ქულა;
- დასკვნით გამოცდას - 40 ქულა.

შუალედური სემესტრული შეფასება (60 ქულა) შედგება:

ა) **შუალედური გამოცდა** - 20 ქულა (20 %) ტარდება წერითი ფორმით: ტესტური ან თეორიული საკითხები ან კომბინირებული.

- ტესტიშედგება 20 კითხვისაგან (არანაკლებ 3 ვარიანტი).

თითოეული სწორად ამოხსნილი ტესტი – ფასდება 1 ქულით, არასწორი - 0 ქულით.

- თეორიული შედგება 4 საკითხისაგან (არანაკლებ 3 ვარიანტი)

თეორიული საკითხი ფასდება მაქსიმალური 5 ქულით:

5 ქულა - სრულფასოვნად მსჯელობს და ლოგიკურად ასაბუთებს საკითხს;

4 ქულა - მსჯელობს და ასაბუთებს ლოგიკურად, მცირედი შეცდომები აქვს ტერმინოლოგიაში;

3 ქულა - სრულყოფილად მსჯელობს, მაგრამ ლოგიკურად ვერ ასაბუთებს;

2 ქულა - საკითხზე აქვს წარმოდგენა, მაგრამ ტერმინოლოგიას ვერ ფლობს;

1 ქულა - იძლევა მცირეოდენ განმარტებებს, მაგრამ არა თემის გარშემო;

0 ქულა - არ შეასრულა დავალება ან არ პასუხობს მოცემულ საკითხს;

- კომბინირებული შედეგა 10 ტესტური და 2 თეორიული საკითხისაგან (არანაკლებ 3 ვარიანტი)

ტესტი შედეგა 10 კითხვისგან

თითოეული სწორად ამოხსნილი ტესტი – ფასდება 1 ქულით, არასწორი - 0 ქულით.

თეორიული შედეგა 2 საკითხისაგან

თეორიული საკითხი ფასდება მაქსიმალური 5 ქულით:

5 ქულა - სრულფასოვნად მსჯელობს და ლოგიკურად ასაბუთებს საკითხს;

4 ქულა - მსჯელობს და ასაბუთებს ლოგიკურად, მცირედი შეცდომები აქვს ტერმინოლოგიაში;

3 ქულა - სრულყოფილად მსჯელობს, მაგრამ ლოგიკურად ვერ ასაბუთებს;

2 ქულა - საკითხზე აქვს წარმოდგენა, მაგრამ ტერმინოლოგიას ვერ ფლობს;

1 ქულა - იძლევა მცირეოდენ განმარტებებს, მაგრამ არა თემის გარშემო;

0 ქულა - არ შეასრულა დავალება ან არ პასუხობს მოცემულ საკითხს;

ბ) სხვა აქტივობები - (შეფასება 40 ქულა) - რომელთა გადანაწილება ხდება თითოეული ლექტორის მიერ სასწავლო კურსის შესწავლის საჭიროებებიდან გამომდინარე.

გ) დასკვნითი გამოცდა ტარდება სემესტრის ბოლოს და ფასდება მაქსიმუმ 40 ქულით.

გამოცდა ტარდება წერიითი ფორმით: ტესტური ან თეორიული საკითხები ან კომბინირებული (თითოეული მინიმუმ 3 ვარიანტი).

- ტესტური

თითოეული ვარიანტი მოიცავს 40 ტესტს;

თითოეული სწორად ამოხსნილი ტესტი ფასდება 1 ქულით;

არასწორად ამოხსნილი ტესტი ფასდება – 0 ქულით.

- თეორიული, შედეგა 8 საკითხისგან, თითოეულისაკითხი ფასდება მაქსიმალური 5 ქულით:

5 ქულა - სრულფასოვნად მსჯელობს და ლოგიკურად ასაბუთებს საკითხს;

4 ქულა - მსჯელობს და ასაბუთებს ლოგიკურად, მცირედი შეცდომები აქვს ტერმინოლოგიაში;

3 ქულა - სრულყოფილად მსჯელობს, მაგრამ ლოგიკურად ვერ ასაბუთებს;

2 ქულა - საკითხზე აქვს წარმოდგენა, მაგრამ ტერმინოლოგიას ვერ ფლობს;

1 ქულა - იძლევა მცირეოდენ განმარტებებს, მაგრამ არა თემის გარშემო;

0 ქულა - არ შეასრულა დავალება ან არ პასუხობს მოცემულ საკითხს;

• კომბინირებული შედეგა 20 ტესტური და 4 თეორიული საკითხისაგან ტესტი შედეგა 20 კითხვისგან

თითოეული სწორად ამოხსნილი ტესტი – ფასდება 1 ქულით, არასწორი - 0 ქულით.

თეორიული შედეგა 4 საკითხისაგან

თეორიული საკითხი ფასდება მაქსიმალური 5 ქულით:

5 ქულა - სრულფასოვნად მსჯელობს და ლოგიკურად ასაბუთებს საკითხს;

4 ქულა - მსჯელობს და ასაბუთებს ლოგიკურად, მცირედი შეცდომები აქვს ტერმინოლოგიაში;

3 ქულა - სრულყოფილად მსჯელობს, მაგრამ ლოგიკურად ვერ ასაბუთებს;

2 ქულა - საკითხზე აქვს წარმოდგენა, მაგრამ ტერმინოლოგიას ვერ ფლობს;

1 ქულა - იძლევა მცირეოდენ განმარტებებს, მაგრამ არა თემის გარშემო;

0 ქულა - არ შეასრულა დავალება ან არ პასუხობს მოცემულ საკითხს;

დასკვნითი გამოცდისსაგამოცდო საკითხები უნდა მოიცავდეს შუალედურ გამოცდამდე შესწავლილი მასალის მინიმუმ 30% და დარჩენილ მთელ მასალას.

სტუდენტი დასკვნით გამოცდაზე დაიშვება, თუ მას შუალედურ (სემესტრულ) შეფასებებში დაგროვილი აქვს მინიმუმ 11 ქულა.

შეფასების სისტემა

ა) დადებითი შეფასება: (A) ფრიადი - მაქსიმალური შეფასების 91% და მეტი;

(B) ძალიან კარგი - მაქსიმალური შეფასების 81-90 %;

(C) კარგი - მაქსიმალური შეფასების 71-80%;

(D) დამაკმაყოფილებელი - მაქსიმალური შეფასების 61-70%;

(E) საკმარისი - მაქსიმალური შეფასების 51-60%.

ბ) უარყოფითი შეფასება: (FX) ვერ ჩააბარა - მაქსიმალური შეფასების 41-50%, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკუდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება (გამოცდის ჩაბარებიდან 10 დღის შემდეგ).

(F) ჩაიჭრა - მაქსიმალური შეფასების 40% და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

IV. საკონტაქტო ინფორმაცია

თბილისი, ა. ჩეხოვის ქ. N28/30

ტელ: (032) 2 74 79 66; 2 45 90 49; (995) 99 28 94 64;

ფაქსი: (032) 2 45 90 48

ვებ-გვერდი: www.ael.edu.ge

ელ.ფოსტა: taep@mail.ru

საკონტაქტო პირი: ნანა რიჟამაძე - 599289464 დირექტორის მოადგილე სასწავლო დარგში.